



საქართველო

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 46 13

26/01/2018

სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ გოგნის საჯარო სკოლისათვის 1992-1993 წლების აფხაზეთის ომში საომარი მოქმედებების დროს დაღუპული სამხედრო მოსამსახურის კახაბერ ბრეგვაძის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის“ მე-4¹ მუხლის და სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ გოგნის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2017 წლის 4 სექტემბრის სხდომის ოქმის საფუძველზე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ გოგნის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ გოგნის საჯარო სკოლას მიანიჭოს 1992-1993 წლების აფხაზეთის ომში საომარი მოქმედებების დროს დაღუპული სამხედრო მოსამსახურის კახაბერ ბრეგვაძის სახელი.

მუხლი 2. განკარგულება გაეგზავნოს სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ გოგნის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. №7).

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ნინო ჯანელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო

